მათემატიკის ოლიმპიადის ტესტების ნიმყუშები

II კლასი

1. გამოთვალეთ $18 - 9 + 7 - 11$
   A. 7 B. 6 C. 5

2. გამოიცანით გამოტოვებული რიცხვი $5,\ 7,\ 9,\ .\ ,\ 13$
   A. 17 B. 15 C. 11

3. სოფოს ორივე ხელზე სულ 13 ბეჭედი უკეთია. მარჯვენა ხელის ნეკა თითის გარდა ყველა თითზე თითო ბეჭედი უკეთია. რამდენი ბეჭედი აქვს ნეკა თითზე?
   A. 8 B. 4 C. 1

4. გამოთვალეთ ჩამოთვლილი მაგალითები და აირჩიეთ მათგან ყველაზე დიდი:
   A. $11 + 8 - 5 - 3$ B. $11 - 8 + 5 - 3$ C. $11 - 8 - 3 + 5$

5. კინგსის ოლიმპიადაზე ნინომ გააკეთა 7-ზე მეტი ამოცანა, მაგრამ ლუკაზე ნაკლები. ლუკამ გააკეთა 9 ამოცანა. რამდენი ამოცანა გაუკეთებია ნინოს?
   A. 7 B. 8 C. 10.